

ბეელი ევროპელები და კაუდილიოები

თორნიკე შარაშენიძე

ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

გიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

სამკუთხედის ორი ყოფილი მხარე

როცა 2003 წელს აშშ ერაყში საომარ კამპანიას ამზადებდა, ევროპაში ახალი სამკუთხედი შეიკრა. რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი ომის წინააღმდეგნი გამოდიოდნენ. მოყოლებული იქიდან პუტინ-შრიოდერ-შირაკის ტრიო მრავალ საკითხში ერთობლივად მოქმედებდა ხოლმე და გაჩნდა ილუზია, რომ სამკუთხედი სერიოზულ ძალად იქცეოდა.

ბუშის ადმინისტრაციაში ერაყული კამპანიის ავტორები თითქმის აღარ შემორჩნენ. თანამდებობა დატოვა თავდაცვის მინისტრმა რამსფელდმა. უფრო ადრე წავიდა საგარეო მინისტრი პაუელი, რომელიც რამსფელდისგან განსხვავებით “ქორს” არასოდეს წარმოადგენდა, მაგრამ თავისი მთავრობის გადაწყვეტილებას ერაყში ომის დაწყების თაობაზე მაინც მტკიცედ იცავდა ხოლმე. თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ერაყული კამპანიის ერთ-ერთი უმთავრესი სულისჩამდგმელი პოლ ვულფოვიცი პენტაგონის ნაცვლად ახლა მსოფლიო ბანკშია.

მაგრამ ასევე პრაქტიკულად დაიშალა ის სამკუთხედი, რომელიც ერაყული კამპანიის წინააღმდეგ შეიკრა. შრიოდერი წავიდა. მისი ადგილი ახლა “გაზპროშია,” რის გამოც დასავლური პრესა დაუფარავად აკრიტიკებს და დასცინის კიდევ (ყოფილმა კანცლერმა მეტსახელიც შეიძინა – გაზპრომ-გერდი). ახლახან დიდი პოლიტიკიდან წავიდა უაკ შირაკიც.

სამკუთხედმა ვერ იმუშავა და გასაკვირი ამაში არაფერია. რუსეთს, გერმანიასა და საფრანგეთს არ იმდენი რამე აღმოაჩნდათ საერთო გარდა იმისა, რომ აშშ-ის ერთპიროვნულ პოლიტიკას უპირისპირდებოდნენ. მართალია, სამკუთხედისკენ იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონიც გადაიხარა, რომელიც თავიდან ერაყულ კამპანიას უჭერდა მხარს, მაგრამ საქმეს არც “გაოთკუთხედებამ” უშველა. პარიზს, ბერლინსა და მოსკოვს კარგად ვერ წარმოედგინათ რა შეიძლებოდა ეკეთებინათ ერთად და საბოლოო ჯამში მათი გაურკვეველი კავშირი ისევ მერკანტილური ინტერესების დევნაზე დავიდა. აქ მთავარი როლი მოსკოვმა ითამაშა, რომელსაც მხარი ბერლინმაც აუბა. “უნიპოლარიზმისა და ერთპიროვნულობის წინააღმდეგ გამოსვლამ” და “უფრო სამართლიან მსოფლიო წესრიგზე ზრუნვამ” ადგილი ენერგეტიკულ პროექტებს დაუთმო. რუსულ ენერგორესურსებზე ნაკლებად დამოკიდებული პარიზი ამ დროს მხოლოდ იმით იყო დაინტერესებული, რომ მოსკოვ-ბერლინის ურთიერთობას საბოლოო ჯამში საფრანგეთის პოზიციები გაემყარებინა.

მაგრამ კომერციულ მოგებასა და ლიდერების კარგ პიროვნულ ურთიერთობაზე დამყარებული სამკუთხედი ერთობ არამყარი ფენომენი აღმოჩნდა. შრიოდერის მემკვიდრეს მოსკოვთან საგრძნობი დისტანცია უჭირავს და აშშ-სთან ურთიერთობების გამყარებაზეა ორიენტირებული. ანჯელა მერკელი ევროპასა და ამერიკას შორის სავაჭრო და საქმიანი ბარიერების ლიკვიდაციაზე ფიქრობს. ხოლო პუტინის მიერ მიწოდებული იდეა გერმანიის რუსული გაზის საცავად ქცევის თაობაზე მან დელიკატურად, მაგრამ გადაჭრით უარყო. მერკელი

აღმოსავლეთ გერმანიაში აღზრდილი და აქედან გამომდინარე პრორუსული ვერ იქნება, მაგრამ მას შემდეგ რაც ნათობის მაღალი ფასებით გათამამებული კრემლი უპრეცედენტო შანტაჟებზე მიდის (მაგალითად გაზსადენის გადაკეტივებიც იკმარებს), პრორუსული პოლიტიკის გატარება ყველას გაუჭირდებოდა.

წავიდა სამკუთხედის კიდევ ერთი ავტორი ჟაკ შირაკიც. ძნელი სათქმელია რამდენად გაიმყარა მის ხელში პოზიციები საფრანგეთმა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ შირაკის მმართველობამ ევროპის უდიდესი ქვეყანა მძიმე პრობლემების წინაშე დააყენა.

პრობლემები შირაკის გაპრეზიდენტების დროსაც არსებობდა: უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, მზარდი შიდა ვალი, დეზორიენტირებული ამომრჩეველი და პოლიტიკური სტაგნაცია. ახლა ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესებულია. უმუშევრობა 10%-ს აღწევს, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით საფრანგეთი ირლანდიას ჩამორჩება, შიდა ვალი სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს და გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე ევროკავშირის სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. რასობრივი პრობლემები ისე გამწვავებულია როგორც არასოდეს. ბოლო ორი წელია, რაც უკმაყოფილებამ ამოხეთქა და ფრანგები ყველაფერში უარს ეუბნებიან შირაკის პოლიტიკას: 2005 წლის მაისში უარი ეთქვა ევროკავშირის კონსტიტუციას, ხოლო შრომით კანონმდებლობაში შეთავაზებულ ცვლილებას (26 წლამდე მოქალაქეების სამსახურიდან თავისუფლად დათხოვნის უფლება) მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

ერაყული კამპანიის დროს შირაკის რეიტინგი 60%-ს აღწევდა, ახლა იგი 29%-მდე დაეცა. მეხუთე რესპუბლიკის ეპოქიდან მოყოლებული შირაკი ყველაზე არაპოპულარული პრეზიდენტია. საფრანგეთის მოსახლეობის 54% მიიჩნევს, რომ ქვეყანა დაცემისკენ მიდის. ამ სკეპტიციზმის მიღმა დგას დაუცველობის შეგრძნება: სამუშაოს შოვნა ჭირს, სოციალური სისტემა კრახის პირას დგას, რასობრივი პრობლემები გადაუჭრელია, პოლიტიკოსებმა კი ეგრეც ვერაფერი შეცვალეს. არადა, შირაკისგან რომელიც აქამდე ორჯერ (1974-76 და 1986-88) იყო პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ალბათ ბევრს ელოდნენ. მითუმეტეს, რომ 80-იანებში მან ხაზი გადაუსვა სოციალისტურ პროგრამას და პრივატიზაცია განახორციელა.

შირაკის მემკვიდრეობისათვის დღესდღეობით სამი ლიდერი იბრძვის. სამივე მათგანი საკუთარ თავს მკვეთრად მიჯნავს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტისგან. ისინი მკვეთრად ემიჯნებიან შირაკის პრომოსკოვურ პოლიტიკასაც. მემარცხენე დეგოლენ რუაიალი აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობაში მერკელისგან აიღებს მაგალითს. ფრანსუა ბაირუც აცხადებს, რომ გაცილებით მეტი ყურადღება ერთიან ევროპას უნდა დაეთმოს. საერთოდ, მემარცხენეები ფაქიზად აღიქვამენ ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხებს და ამის გამოც მოსკოვთან მათი დაახლოება არც ისე იოლი იქნება. მართალია, სახეზეა მემარჯვენე ნიკოლა სარკოზიც, მაგრამ იგი პრორუსულობით ნამდვილად არ გამოირჩევა. პირიქით, აშშ-ს ხშირად სტუმრობს და იქიდან მოსკოვს მკვეთრად აკრიტიკებს ხოლმე.

რუსეთი მონოპოლისტიდან კონკურენტის როლში

სამკუთხედი აღარ არსებობს. “ძველი ევროპის” წამყვანი სახელმწიფოებისა და რუსეთის თანამშრომლობიდან განსაკუთრებული აღარაფერი დარჩა. მაგრამ ამის

მიუხედავად კრემლის პოლიტიკა ევროპასთან მიმართებაში უცვლელი რჩება – ენერგეტიკის მეშვეობით ფეხის მოკიდება ძველ კონტინენტზე. ამ პოლიტიკის განხორციელების მოწმენი გასულ კვირას გავხდით, როცა ათენში რუსულმა, ბულგარულმა და ბერძნულმა მხარეებმა ბურგას-ალექსანდრუპოლისის ნავთობსადენის ხელშეკრულება გააფორმეს. მას შემდეგ, რაც დოკუმენტის რატიფიცირება მოხდება, უნდა დაიწყოს პროექტის მშენებლობა. ნავთობსადენის სიგრძე 285 კმ-ს მიაღწევს, იგი ბულგარეთისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე გავა და გვერდს აუვლის გადატვირთულ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს.

ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს სწორედ სტრუქტურებისთვის გვერდის ავლა წარმოადგენს. რუსული ნავთობი ნოვოროსისკიდან ტანკერებით ბურგასში (ბულგარეთის პორტი) გადაიტვირთება და იქიდან გადაიტვირთება ნავთობსადენის მეშვეობით. პროექტის 51% რუსეთის კონტროლს დაექვემდებარება.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ პრეზიდენტმა პუტინმა პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც აღნიშნა, რომ მილსადენს ნავთობი ახალი წყაროებიდან მიეწოდება და არ მოხდება ძველი წყაროებიდან ნავთობის გადამისამართება. ძირითადად რა წყაროზეა საუბარი მაშინვე გაირკვა, რადგან პუტინი კასპიის ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის მნიშვნელობაზე ალაპარაკდა. რუსეთი ამ საკითხში კონკურენტის როლში გამოდის. თუკი თავის დროზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი კასპიის რესურსებზე რუსეთის მონოპოლიის აღსასრულს ნიშნავდა და ეს მოსკოვის სასტიკ გაღიზიანებას იწვევდა, ახლა ვითარება სხვანაირია: რუსეთი ეგუება რომ მისი მონოპოლია დაირღვა და კონკურენციას ცდილობს.

როგორც ვარაუდობენ, მილსადენის მშენებლობა 2008 წელს უნდა დაიწყოს. ოპტიმისტური შეფასებებით იგი 2009-ში უნდა ამუშავდეს. პროექტის მთავარი მოთამაშის, “ტრანსნეფტის” თავკაცის სიმონ ვაინშტოკის განცხადებით, მილსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზე იაფი დაჯდება. თუმცა, სიააფე აუცილებლად არ ნიშნავს კონკურენტუნარიანობას. გავიხსენოტ, რომ იგივე ნოვოროსისკის პორტი კლიმატური პირობების გამო სრული დატვირთვით მთელი წლის განმავლობაში ვერ მუშაობს. ეს კი ახალი მილსადენის პერსპექტივებზე არც ისე კარგად მეტყველებს. მაგრამ ამის მიუხედავად პროექტი მაინც რუსეთის გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოტ თუნდაც იმის გამო, რომ აქამდე ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა სამსუნ-ჯეიჰანის პროექტი რომელსაც ცხადია აქტიურად ღობირებდა თურქეთი. გარდა ამისა, პროექტი კითხვის ქვეშ აყენებს ევროპის ერთიან ენერგეტიკულ პოლიტიკას. გარკვეული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თურქულ-ბერძნულ-იტალიური გაზსადენის პროექტიც, რომლის მეშვეობითაც კასპიური (კერძოდ კი აზერბაიჯანული) გაზი ევროპაზე უნდა გასულიყო. ხომ არ მოუწევს ახლა საბერძნეთს ამ პროექტში “გაზპრომის” ჩართვა?

პუტინი კი კვლავ ალაპარაკდა მერკელის მიერ უარყოფილ იდეაზე – ბულგარეთი და საბერძნეთი შეიძლება ევროპისათვის რუსული ენერგორესურსების გამანაწილებელ ცენტრებად იქცნენ. ევროპის წამყვან ქვეყანასთან ამ პოლიტიკამ არ იმუშავა. ვნახოტ როგორ იმუშავებს ევროპის სამხრეთში.

მონროს დოქტრინის დამრღვევი

ევროპული კარტი კრემლისათვის სიახლე არ არის. ზესახელმწიფოს რანგში საბჭოთა კავშირი მუდამ ცდილობდა ევროპაში თავისი გავლენის დამკვიდრებას, მაგრამ თავად დემოკრატიული ევროპის გარდა აქ მას აშშ-სთანაც უწევდა მეტოქეობა. ამ უკანასკნელს გაცილებით იოლად ჰქონდა საქმე თავის კონტინენტებზე – მთელი დასავლეთ ნახევარსფერო მონროს დოქტრინის მიხედვით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა ვაშინგტონის გავლენის სფეროდ. თუკი კუბას არ ჩავთვლით, ცივი ომის დროს ამ გავლენის სფეროს ბზარი არ გასჩენია.

დღეს მონროს დოქტრინის დამრღვევად ჩავესის ვენესუელას ასახელებენ. უგო ჩავესი აშშ-ის პრეზიდენტს სატანად ნათლავს, აშშ-ში ნავთობის ექსპორტს ამცირებს, მხარს უჭერს ფიდელ კასტროს და ვაშინგტონის საწინააღმდეგო ნებისმიერ პოლიტიკას. 2006 წლის დეკემბრის არჩევნების გამარჯვების შემდეგ კაუდილიო დაჩქარებული ტემპით აშენებს “21-ე საუკუნის სოციალიზმს” თავის ქვეყანაში. ამაში მას ხელს არაფერ უშლის – პრეზიდენტის ძალაუფლება პრაქტიკულად შეუზღუდავია, საკონსტიტუციო ცვილებების წყალობით იგი საკანონმდებლო ხელისუფლებას აკონტროლებს, ერთგული კადრების მეშვეობით კი სასამართლოს და ცენტრალურ ბანკსაც კი. სახელმწიფო პროპაგანდას ემსახურება მედიაც. ენერგოსექტორში ნაციონალიზაცია მიმდინარეობს და უცხოელი ინვესტორები ქვეყანას ტოვებენ, ნაციონალიზაცია ელით სატელეფონო კომპანიებს. ჩავესი დახურვით ემუქრება ყველა სუპერმარკეტს, რომელიც ფასებს ზედმეტად აწევს...

სოციალიზმი რომ არაეფექტური მოდელია, ეს დიდი ხანია კარგად გამოჩნდა. ჩავესის სოციალიზმსაც ალბათ დიდი დრო არ უნდა ეწეროს. ჯერჯერობით იგი ისევ და ისევ ნავთობზე მაღალ ფასებს ემყარება, მაგრამ ეს ბედნიერებაც წარმავალია, მითუმეტეს რომ ნაციონალიზებული ენერგოსფერო სულ უფრო და უფრო ცუდად მუშაობს. 1998 წელს (ჩავესის პრეზიდენტობის პირველ წელს) ვენესუელის სახელმწიფო ნავთობკომპანია დღეში 3,1 მილიონ ბარელს მოიპოვებდა და 2005 წლისათვის ამ მაჩვენებლის 5 მილიონამდე გაზრდას გეგმავდა, მაგრამ სინამდვილეში ახლა ეს მაჩვენებელი 1,5 მილიონამდეა დასული. ასეთი შემცირების მიზეზი მარტვია – კომპანია არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზნებით იმართება. 2002 წლის გაფიცვის შემდეგ (რომელიც ჩავესმა “ეკონომიკურ საბოტაჟად” მოანთლა) 20 ათასი მაღალკვალიფიცირებული თანამშრომელი იქნა დათხოვილი. ამის პარალელურად ნავთობმომპოვებელი სისტემა სრული დატვირთვით მუშაობს, რის გამოც ხშირია ავარიები და ხანძრები. 2006 წლის ოქტომბერში ვენესუელა იძულებული გახდა შეეჩერებინა საწვავის ექსპორტი ჯერ კუბის, შემდეგ კი აშშ-სათვის. ზოგიერთს ეს მაშინ პოლიტიკური ნაბიჯი ეგონა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ტექნიკური პრობლემით იყო გამოწვეული.

მაგრამ ყველაზე მეტა პრობლემებს ვენესუელას იდეოლოგიზირებული საგარეო პოლიტიკა შეუქმნის. ამ მხრივ კაუდილიოს რეჟიმი ყველაზე მეტად ჩამოჰგავს საბჭოთა კავშირს, რომელიც არაერთ უცხო ქვეყანას უწევდა ეკონომიკურ დახმარებას მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სოციალისტურ ბანაკში იყვნენ. ჩავესი მზადაა ნავთობდოლარები მოისროლოს ყველაგან, სადაც ანტიამერიკანიზმის რაიმე ნიშნებს დაინახავს. მაგალითად, იგი აშენებს სამხედრო ინფრასტრუქტურას ბოლივიაში, რომელიც ვენესუელის დარად ენერგოსექტორის ნაციონალიზაციის გზას დაადგა. ვენესუელის ელჩმა ბოლივიაში ისიც კი განაცხადა, რომ მისი ქვეყანა “სისხლს დაღვრის” თუკი პრეზიდენტ მორალესის ხელისუფლებას რაიმე საფრთხე შეექმნება.

ბრაზილიაში მემარცხენე მთავრობაა, ამიტომ 2006 წელს ვენესუელამ ამ ქვეყნისგან 3 მილიარდი დოლარის საქონელი შეისყიდა, მაშინ როცა ბრაზილიაში ვენესუელას ექსპორტმა 800 მილიონი შეადგინა. ამ სხვაობამ ვენესუელაში ათასობით საწარმოს გაკოტრება გამოიწვია. ამავე დროს ჩავესი ბრაზილიაში ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას აშენებს.

ცხადია, დახმარებას ყველა სიამოვნებით მიიღებს, მაგრამ ამავე დროს რამდენად სჯერათ სამხრეთ ამერიკაში “21-ე საუკუნის სოციალიზმის?” ალბათ ამის არავის სჯერა, უბრალოდ ჩავესს თავს აჩვენებენ რომ სჯერათ. ეს მოჩვენება მანამდე გასტანს, სანამ ვენესუელა საბჭოთა კავშირის როლის თამაშს გააგრძელებს. ნავთობის ფასები ამ როლს ალბათ კიდევ დიდხანს შეუწყობს ხელს, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებს ყველაფერს თავად ვენესუელა. როგორც ლათინურ ქვეყნების უმრავლესობა, დიდი პოლიტიკური სტაბილურობით არც ვენესუელა გამოირჩევა. ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვი აქ საკმაოდ დიდია და ამის გამო ჩავესი თავს არც ისე მშვიდად გრძნობს. ნავთობდოლარების ფანტვამ არ შეიძლება მოსახლეობის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს, მითუმეტეს როცა ნავთობდოლარები ნაციონალიზაციის გამოისობით კლებულობს.

ჩავესის რეჟიმის დასამარების საბოლოო მიზეზად კი შეიძლება იგივე ბოლივია იქცეს. კაუდილიო ერთობ უფრო ხილდება მორალესის რეჟიმს. ორ ქვეყანას ერთმანეთთან სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება აკავშირებს. ბოლივიაში “კრიზისული ვითარების” წარმოქმნის შემთხვევაში ვენესუელა იქ თავისი შეიარაღებული ძალების გაგზავნას გეგმავს (ვენესუელის ელჩი არ ტყუოდა). მაგრამ რამდენად აიტანს თავის მიწაზე სხვა ქვეყნის ჯარისკაცებს ოლივია, რომელსაც მეზობლებთან კონფლიქტების ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს?

კაუდილიოები მრავლად ყოფილან ლათინურ ამერიკაში. მრავლად, რადგან ისინი დიდი ხნით ვერ ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას და მათ სხვა კაუდილიოები ცვლიდნენ ხოლმე.